Community-led Urban Strategies in Historic Towns (COMUS)

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში (COMUS)

ყოფილი მანქანა-ტრაქტორთა სადგური (მტს)

წინასწარი ტექნიკური შეფასება

დუშეთი, საქართველო 2016

1. შესავალი



1.1. ქვეყანა ან ტერიტორია: საქართველო
1.2. ორგანიზაციის სახელი, რომელიც აგროვებს ინფორმაციას: დუშეთის მუნიციპალიტეტი
1.3. საკონტაქტო სახელი: კონსტანტინე ნაცვლიშვილი
1.4. ელ.ფოსტის მისამართი: k.nat.art@gmail.com
1.5. ობიექტის სახელი და მისამართი: მანქანა-ტრაქტორთა სადგური (მტს), მილახვრიანთკარის დასახლება, დუშეთი, საქართველო.
1.6. მითითებული საინვენტარიზაციო ნომერი/ნომრები: არ გააჩნია ძეგლის სტატუსი.
1.7. შენობის/მონუმენტის/სანახაობის ტიპი: საინჟინრო-ინდუსტრიული
1.8. მთავარი თარიღები; 1930-40 იანი წლები, 1965 წელი.
1.9. ამჟამინდელი გამოყენება: შენობა ძირითადად უფუნქციოა, შენობის ნაწილი და ეზო მუნიციპალიტეტის მიერ გამოიყენება სასაწყობედ.

2. შეჯამება: ობიექტი და მისი მართვა

მანქანა-ტრაქტორთა სადგური, იგივე მტს (ასე უწოდებენ მას ქალაქის მაცხოვრებლები) წარმოადგენს ორი ძირითადი შენობის, დამხმარე ნაგებობის და ეზოსაგან შემდგარ კომპლექსს, რომელიც საბჭოთა პერიოდში განაგებდა და ტექნიკურ მომსახურებას უწევდა დუშეთის მანქანებისა და ტრაქტორების ავტოპარკს. იგი მდებარეობს გვიანი შუასაუკუნეების სასახლის (ჭილაშვილების სასახლე / მილახვრიანთკარი) უშუალო სიახლოვეს და წარმოადგენს საინტერესო სინთეზს შუასაუკუნეების და ინდუსტრიულ არქიტექტურას შორის.

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მტს ორ ძირითად ეტაპადაა აშენებული, მისი ერთი ნაწილი 1930-40-იან წლებში, ხოლო მთავარი ნაგებობა 1960-იან წლებშია აშენებული და

შესაბამისად ამ პერიოდის ინდუსტრიული არქიტექტურის გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს. კონსტრუქციულად ორივე შენობა მყარია, თუმცა ორივე მათგანს გააჩნია სახურავის პრობლემა. ფასადები ნაწილობრივ ჩამონგრეულია, მთლიანად გამოსაცვლელია ფანჯრები, კარები, ღობე და ჭიშკარი. ეზო საჭიროებს კეთილმოწყობას.

მოსახლეობასთან წარმოებული შეხვედრებიდან გამომდინარე გამოიკვეთა შენობის შენარჩუნების და მისთვის ახალი ფუნქციის მინიჭების აუცილებლობა. ინდუსტრიული ნაგებობების ახალი ფუნქციებით დატვირთვა მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკაა (მათ შორის საქართველოში კინოსტუდია ქართული ფილმის ყოფილი პავილიონში განთავსდა „თუმანიშვილის თეატრი“, ყოფილ სამკერვალო ფაბრიკაში განთავსდა მულტიფუნქციური კულტურულ-საზოგადოებრივი ცენტრი „ფაბრიკა“, ა.შ.).

დუშეთის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალაქის კულტურული ფუნქციის განსაზღვრას ქვეყნის კონტექსტში, რაც ქალაქის კულტურული, სოციალური და ეკონომიკური განვითარების ლოკომოტივი გახდება.

აქედან გამომდინარე, უპირატესობა მიენიჭა მტს-თვის კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ფუნქციის მინიჭებას, რაც ერთის მხრივ შეავსებს დუშეთის კულტურული ინფრასტრუქტურის ნაკლოვანებებსა და საჭიროებებს და ამავე დროს შეიძენს საქართველოს მასშტაბით მნიშვნელოვან კულტურულ ფუნქციას, რაც ამ ობიექტს და, მასთან ერთად, ქალაქ დუშეთს ეროვნულ დონეზე ხილვადს გახდის.

მტს-ის კიომპლექსის რეკონსტრუქცია ჩატარდება შემდეგი მიზნით:

- ბიბლიოთეკისა და მედიათეკის მოწყობა სახელოვნებო საგანმანათლებლო ცენტრის განვითარების მიზნით ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე;
- არტ-რეზიდენცია ქართველი და უცხოელი (როგორც რეგიონიდან, ასევე დანარჩენი მსოფლიოდან) არტისტების ჩამოსაყვანად კულტურულად და სოციალურად ქალაქის გაცოცხლების მიზნით;
- საგანმანათლებლო კურსებისა და მასტერ-კლასების (არსებობს წინასწარული თანხმობა გერმანული ორგანიზაცია „Kunstlertribune“-ს მხრიდან დუშეთში საზაფხულო აკადემიის მოწყობის მიზნით ქართველი და რეგიონის კონსერვატორიის სტუდენტებისთვის) ჩატარების აუცილებლობა ხელოვნებისა და ხელოსნობის სფეროში;
- გამოფენების, პრეზენტაციებისა და სხვა ღონისძიებების, ასევე ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბის ფესტივალების ჩატარების აუცილებლობა ქალაქში ვიზიტორების მოზიდვის მიზნით;

მტს-ის კომპლექსის მომავალი ფუნქციიდან გამომდინარე, თვითმმართველობის მხრიდან იგი განიხილება, როგორც საჯარო სიკეთე, სადაც განთავსდება მულტიფუნქციური დარბაზი გამოფენებისა და კონცერტებისთვის, პრეზენტაციებისა და კონფერენციებისთვის;

სახელოსნოები მხატვრებისა და მოქანდაკეებისთვის; სარეპეტიციო სივრცეები მუსიკოსებისთვის; რეზიდენცია არტისტებისთვის, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სასტუმრო; ღია ცის ქვეშ ღონისძიებებისთვის (კინო ჩვენებები, კონცერტები, კორპორატიული ღონისძიებები და საზეიმო მიღებები და სხვა) ადაპტირებულ იქნება ეზო.

აღნიშნული ფუნქციები სრულ შესაბამისობაშია ჭილაშვილების ისტორიული სასახლის მომავალ გამოყენებასთან (არქეოლოგიური მუზეუმი). მტს-ის და ჭილაშვილების სასახლის მუზეუმის გვერდიგვერდ ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ორივე დაწესებულებისთვის პუბლიკის მოზიდვას, რაც დადებითად აისახება დუშეთის ეკონომიკაზე, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და ქალაქის იმიჯის ფორმირებაზე. მტს-ის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი დაეხმარება დუშეთში შეიქმნას სტაბილური სამუშაო ადგილები მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისათვის კულტურის სფეროში, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული პირების შემდგომ დამაგრებას ქალაქში. ცენტრის ფუნქციონირება მნიშვნელოვნად გაზრდის ვიზიტორების რაოდენობას, რაც დადებითად აისახება ქალაქის ეკონომიკაზე. კულტურულ-საგანმანათლებლო შეთავაზებები ადგილობრივი მოსახლეობისთვის უზურნველყოფს საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დამაგრებას ქალაქში. მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა (გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები, კინო ჩვენებები და ა.შ.) მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დუშეთის როგორც ტურისტული და კულტურული ქალაქის იმიჯს ეროვნულ დონეზე, ხელს შეუწყობს ქალაქის კონკურენტურნარიანობის ზრდას სხვა ქალაქებთან მიმართებაში, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე.

3. ადმინისტრაციული ინფორმაცია

3.1. პასუხისმგებელი ორგანოები

მტს იმყოფება დუშეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საკუთრებაში და მასზე ზრუნვა თვითმმართველობის უშუალო პასუხსიმგებლობაა.

3.2. შენობა/ტერიტორია, სახელი და მისამართი

მანქანა-ტრაქტორთა სადგური (მტს)

მილახვრიანთკარის დასახლებაში, ქ. დუშეთი, დუშეთის მუნიციპალიტეტი, მცხეთა-მთიანეთის მხარე, საქართველო.

3.3. კატოგრაფიული ინფორმაცია

X: 42 088004

Y: 44 678681

3.4. ძეგლის ტიპი

საინჟინრო-ინდუსტრიული.

3.5. საკუთრება

დუშეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა

3.6. სავალდებულო დაცვა/შეზღუდვები

კომპლექსი ემიჯნება ჭილაშვილების ისტორიულ სასახლეს, რომელსაც გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მასზე ვრცელდება კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური დაცვის და ვიზუალური დაცვის 150 მეტრიანი არეალები, რომელთა რეჟიმები განსაზღვრულია კანონით. მტს-ის რეაბილიტაციის პროექტი უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ რეგულაციებს. მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო ნებართვის გაცემისას აუცილებელია არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების და ასევე პროექტის შეთანხმება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

4. ფიზიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა

4.1 ფიზიკური მდგომარეობის შეფასება - ძალიან ცუდიდან კარგისკენ

(ნანგრევი, ძალიან ცუდი, ცუდი, საშუალო, კარგი, ძალიან კარგი)

ცუდი

4.2 რისკის შეფასება - A-H

(მაღალი რისკი - A, საშუალო - B, დაბალი - C, რისკის გარეშე -D)

B

4.3 პრიორიტეტი ინტერვენციისთვის- მაღალი/საშუალო/დაბალი

მაღალი

5. არსებული ინფორმაცია

5.1. დოკუმენტური რესურსები

ობიექტის შესახებ დოკუმენტური მონაცემები პრაქტიკულად არ არსებობს. PTA-ს ფარგლებში, დროის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა სათანადო საარქივო კვლევის წარმოება პროექტის, ავტორთა ჯგუფის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად. დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შემორჩენილია ობიექტის ამსახველი რამოდენიმე ისტორიული ფოტო.

5.2. ბიბლიოგრაფია

საკუთრივ დუშეთის მტს-ზე ინფორმაციის მოძიება PTA-ს შემუშავების ფარგლებში ვერ მოხერხდა, თუმცა მტს-ების შესახებ ვრცელი ლიტერატურა არსებობს საბჭოთა კავშირის პერიოდში. მათ შორისაა სხვადასხვა სადისერტაციო ნაშრომები, საგაზეთო სტატიები, სამეცნიერო გამოცემები, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო კვლევითი ინსტიტუტის შრომები, სხვადასხვა პერიოდში გამოცემული წესები, ინსტრუქციები და კანონები, ა.შ. ქვემოთ მოყვანილია მცირე ნაწილი ამ მასალის, რაც ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში:

- დგებუაძე დ. (1972) *დუშეთის მაზრის სოფლის მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე,* საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, თბილისი, გვ 221-230
- გველესიანი გ. (1955), *მანქანა ტრაქტორთა სადგურების მშენებლობა საქართველოსი და მათი ფინანსური მეურნეობის საკითხები,* საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი

- მერებაშვილი დ. (1956) *ჩვენი მანქანა ტრაქტორთა სადგურის ავკარგი,* საქართველოს კოლმეურნე, #1, გვ 27-28
- ქორიძე დ. (1954) *მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და მათი როლი საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში,* ქუთაისი
- ჩიქავა ლ. (1953) *მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და მათი როლი კოლმეურნეობების განვითარება-განმტკიცებაში* /დისერტაცია/, თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტი
- წესდება მანქანა ტრაქტორთა სადგურის საწარმოო გაერთიანებისა (1929) სსსრ მიწათმოქმედების სახელმწიფო კომისარიატი, თბილისი
- ურუშაძე, ა. (1933) მანქანა-ტრაქტორთა სადგურთა ამოცანები
- ხრუშჩოვი ნ., (1958), *საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ* : მოხსენება და საბოლოო სიტყვა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს 1 სესიაზე 1958 წლის 27 და 31 მარტს; კანონი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ.
- Mashine and Tractor Stations, https://en.wikipedia.org/wiki/Machine_and_tractor_station
- Машинно-тракторная станция, http://www.booksite.ru/fulltext/1/001/008/074/629.htm
- Машинно-тракторная станция, https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%B0%D1%88%D0%B8%D0%BD%D0%BD%D0%BE-%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BA%D1%82%D0%BE%D1%80%D0%BD%D0%B0%D1%8F_%D1%81%D1%82%D0%B0%D0%BD%D1%86%D0%B8%D1%8F

5.3. უკვე ჩატარებული საველე სამუშაო

მტს-ის შენობის პირველადი დათვალიერება და ვიზუალური საინჟინრო შეფასება მოხდა PTA-ს შემუშავების პროცესში, კულტურული მემკვიდრობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინჟინერ-კონსტრუქტორის მონაწილეობით. ბოლო პერიოდში სხვა სამუშაოები ადგილზე არ ჩატარებულა.

5.4. მიმდინარე პროექტები

არ მიმდინარეობს.

5.5. უკვე დაგეგმილი პროექტები

ეროვნული მუზეუმის მიერ მომზადებულია მტს-ის მიმდებარე ჭილაშვილების ისტორიულ სასახლეში არქეოლოგიური მუზეუმის მოწყობის კონცეფცია, რომელშიც ასევე მოქცეულია მტს-ის ტერიტორია. კონცეფციით შეთავაზებულია მტს-ს დემონტაჟი და მის ადგილას მუზეუმის ეზოს და დამხმარე ნაგებობების მოწყობა.

5.6. უკვე შესრულებული ფინანსური ხარჯთაღრიცხვა

არ არსებობს.

6. PTA-ს ფარგლები

6.1. შეფასების მოცულობა/შინაარსი

ბარათზე მუშაობდა ადგილობრივ და ეროვნულ ექსპერტთა კომპლექსური ჯგუფი, არქიტექტორების, ინჟინრის, კულტურის პოლიტიკის სპეციალისტის შემადგენლობით.

6.2. კვლევის შეზღუდვა

საკვლევი პერიოდის სიმცირის გამო, ვერ მოხერხდა მტს-ების შესახებ არსებული მოცულობითი ლიტერატურის შესწავლა და დუშეთის მტს-ის შესახებ ლიტერატურის თუ გრაფიკული და ფოტო დოკუმენტაციისს მოძიება.

7. PTA

7.1. კონტექსტი: ფორმა, ფუნქცია და ევოლუცია

7.1.1. შემაჯამებელი აღწერა :

მანქანა-ტრაქტორთა სადგური, იგივე მტს (ასე უწოდებენ მას ქალაქის მაცხოვრებლები) წარმოადგენს ორი ძირითადი შენობის, დამხმარე ნაგებობის და ეზოსაგან შემდგარ კომპლექსს, რომელიც საბჭოთა პერიოდში განაგებდა და ტექნიკურ მომსახურებას უწევდა დუშეთის მანქანებისა და ტრაქტორების ავტოპარკს. იგი მდებარეობს გვიანი შუასაუკუნეების სასახლის (ჭილაშვილების სასახლე / მილახვრიანთკარი) უშუალო სიახლოვეს.



კომპლექსი ორ ძირითად ეტაპადაა აშენებული, პირველი ნაგებობა (1) სავარაუდოდ 1930-იან წლებში, ხოლო მთავარი ნაგებობა (2) 1960-იან წლებშია აშენებული და შესაბამისად ამ პერიოდის ინდუსტრიული არქიტექტურის გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს.

კონსტრუქციულად ორივე შენობა მყარია, თუმცა ორივე მათგანს გააჩნია სახურავის პრობლემა. ძირითადი შენობის (2) დასავლეთ ფასადი ნაწილობრივ ჩამონგრეულია. ორივე შენობაზე მთლიანად გამოსაცვლელია ფანჯრები, კარები, ღობე და ჭიშკარი. ეზო საჭიროებს კეთილმოწყობას.

მანქანების მცირე სარემონტო ნაგებობა (1) სავარაუდოდ უადრესია მტს-ის კომპლექსში. ნაგებობა წაგრძელებული მართკუთხა გეგმარებისაა. მზიდი კედლები ქვითა და საბჭოთა პერიოდის აგურის მონაცვლეობითაა აგებული. ფასადის უმეტესი ნაწილი მთლიანად გახსნილია დიდი მართკუთხა ფორმის ღიობებით. შენობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი

ოდნავ ამაღლებულია და გამოიყოფა ფასადის ღიობების განსხვავებული დანაწევრებით. ვიზუალური დათვალიერებით შენობა კონსტრუქციულად მყარია. შედარებით კარგ მდგომარეობაშია შენარჩუნებული გადახურვაც. გადახურულია ასბესტის ფილებით. დღეისათვის გამოიყენება მუნიციპალურ საწყობად.

ძირითადი ნაგებობა (2) სავარაუდოდ აშენებულია მოგვიანებით და წარმოადგენს მართკუთხა გეგმარების დიდ ანგარს. მზიდი კონსტრუქცია მონოლითური რკინაბეტონის კარკასს წარმოადგანს, რომელიც გადახურულია არმირებული ბეტონის ფილებით. კედლები შევსებულია ქვითა და საბჭოთა პერიოდის აგურის მონაცვლეობით, თუმცა მონაცვლეობის სისტემა ზუსტად დაცული არ არის.

გეგმარება სამ ძირითად ნაწილად იყოფა: განაპირა ნაწილებში, რომელთა გადახურვაც შუა ნაწილთან შედარებით საგრძნობლად დაბალია, განთავსებული იყო გარაჟი და სარემონტო სახელოსნოები, სივრცე დატიხრულია აგურის კედლებით. შენობის ცენტრალური ნაწილი, რომელიც ერთ დიდ სივრცედაა წარმოდგენილი, ორივე მხრიდან გახსნილია დიდი ზომის რკინის ჭიშკრიანი ღიობებით. დასავლეთი ნაწილის ფასადი თითქმის მთლიანად შემინულია, და შემავსებლად უპირატესად გამოყენებულია აგური. ეს ფასადი ყველაზე მეტადაა დაზიანებული, ჩამონგრეულია კედლები და დაზიანებულია საყრდენი კონსტრუქცია. შენობის სახურავზე ამოსულია ხე-მცენარეები, რაც კიდევ უფრო აზიანებს ისედაც დაზიანებულ გადახურვას.

დამხმარე ნაგებობა (3) მცირე ზომის გეგმით მართკუთხა ნაგებობაა. პირველი სართული ქვითაა ამოყვანილი, მეორე - ფიცრულია. შენობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროებს კაპიტალურ რემონტს.

7.1.2. ისტორიული განვითარება

მტს-ები დაარსებულ იქნა საბჭოთა მმართველობის დასაწყისში 1920-იანი წლების ბოლოს[1]. იგი გახლდათ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი სისტემური ნაწილი. მტს-ები ფლობდნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, შესაბამის კვალიფიციურ პერსონალს და ემსახურებოდნენ

[1] პირველი მტს დაფუძნდა უკრაინაში, ოდესის ოლქში, ბერეზოვსკის რაიონში 1928 წელს. 1929 წლის 5 ივნისს სსსრ შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება „მანქანა-ტრაქტორების სადგურების დაფუძნების შესახებ“.

კოლმეურნეობებს და შემდგომში საბჭოთა მეურნეობებს. 1950 იანი წლებისთვის საქართველოში 96 ასეთი დაწესებულება ფუნქციონირებდა[2]. 1958 წელს საბჭოთა კავშირში რეფორმის შედეგად[3] მტს-ები რეორგანიზებულ იქნა. ძირითად შემთხვევებში ისინი პირდაპირ გადაეცა კოლმეურნეობებს და მათი ფუნქცია ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთება-მომსახურებით შემოიფარგლა.

კომპლექსი, რომელიც დუშეთის უახლესი ინდუსტრიული წარსულის ერთადერთი მოწმეა დღეს უფუნქციოდაა დარჩენილი და საჭიროებს გადაუდებელ რეაბილიტაციას. ჩასატარებელია კომპლექსური კვლევა, საინჟინრო-სამეურნეო კომუნიკაციების მდგომარეობის შესაფასებლად.

7.2. მნიშვნელობა

განსხვავებით საქართველოს სხვა ქალაქების დუშეთს ინდუსტრიალიზაცია ნაკლებად შეეხო, შესაბამისად მტს წარმოადგენს ერთადერთ დღემდე შემორჩენილ ინდუსტრიულ ნაგებობას დუშეთში, რომელთანაც დაკავშირებულია, როგორც ქალაქური ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტები, ასევე დუშელების მოგონებები ერთ დროს სოციალურად, ეკონომიკურად და კულტურულად აქტიურ ქალაქზე. კომპლექსი მნიშნელოვანი იმ მხრივაც, რომ დუშეთის, როგორც სასოფლო-სამეურნეო რეგიონის მნიშვნელობას 1920-იანი წლების დასასრულს. 1958 წელს საბჭოთა კავშირში მტს-ების რეორგანიზების შემდეგაც დუშეთში მან სახეცვლილი ადმინისტრირებით განაგრძო ფუნქციონირება საბჭოთა კავშირის კოლაფსამდე 1991 წელს.

მტს-ის განხილვა ჭლაშვილების ისტორიული სასახლის კონტექსტის გარეშე შეუძლებელია, ეს ორი კომპლექსი არქიტექტურულად, ისტორიულად და ესთეტურად ერთმანეთის საწინააღმდეგო ღირებულებებს ატარებენ, თუმცა მათ აერთიანებთ დუშეთის საზოგადოება, რომელიც მათ თავიანთი ქალაქის ისტორიის ორ უმნიშვნელოვანეს ეტაპთან აკავშირებს და სწორედ ეს სიმბოლური მნიშვნელობა ხდის უნიკალურს ამ ორი არქიტექტურული ანსამბლის ერთობას.

მტს-ის კომპლექსი დღეისთვის არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, თუმცა მისი ძირითადი კატეგორია შეიძლება განსაზღვრულ იქნეს საინჟინრო-ინდუსტრიული. გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსის რეაბილიტაციის შემდგომ რეაბილიტირებულ ჭილაშვილების ისტორიულ სასახლესთან და მასში განთავსებულ არქეოლოგიურ მუზეუმთან ერთად შეიძლება იგი იქნეს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლად აღიარებული, რადგან დღეისთვის ცნობილ ანსამბლებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია ინდუსტრიული და შუასაუკუნეების არქიტექტურის სიმბიოზისა სადაც კარგად იკითხება, როგორც ქალაქ დუშეთის, ასევე ზოგადად საქართველოს ისტორია და შესაბამისად ამ კომპლექსს ზოგადეროვნულ კონტექსტში უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ღირებულებას სძენს.

---

[2] ონიანი, გ. (2014) გენერალსიმუსის პორტრეტისთვის, საქართველო და მსოფლიო, 26.06.2014 http://www.geworld.ge/NEW/?page=view&art=6001-generalisimusis-portretistvis

[3] სკკპ ცკ პლენუმის დადგენილება საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ, 26.02.1958

7.3. მოწყვლადობა/ რისკის შეფასება

მტს-ის კომპლექსის დეგრადაცია 1990-იანი წლების დასაწყისის ეკონომიკურმა კოლაფსმა გამოიწვია: კოლმეურნეობების დაშლამ, შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისებმა გააპარტახა როგორც სოფლის მეურნეობა ასევე მათი მომსახურების ბაზა.

სათანადო ფინანსების არარსებობის, ტექნიკური ბაზის მოშლისა და ფუნქციის დაკარგვის გამო დღემდე ვერ მოხერხდა შენობის რეაბილიტაცია. ფინანსების ნაკლებობის გამო მუნიციპალიტეტი შესაძლოა იძულებული გახდეს გაასხვისოს კომპლექსი ისეთი პირობებით რაც წამგებიანი იქნება ქალაქის ინტერესებისთვის.

მოუვლელობის შემთხვევაში კომპლექსს უპირველეს ყოფლისა ფიზიკური დეგრადირების და სრული ნგრევის საფრთხე ემუქრება. უხვთოვლიანობა და ყინვები საფრთხეს უქმნიან შენობების ისედაც დაზიანებულ გადახურვას. დაზიანებული სახურავიდან სისტემატურად ირეცხება შენობის კედლები, ინტერიერი და საფრთხე ექმნება შენობის მდგრადობას.

კომპლექსისათვის არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს მომიჯნავე ჭილაშვილების ისტორიული სასახლის რეაბილიტაციის პროცესი საქართველოს ეროვნული მუზეუმის კონცეფციით, რომლის მიხდევითაც მტს-ის დემონტაჟი და მის ადგილას მუზეუმის ბაღისა და დამხმარე ნაგებობების მოწყობაა გათვალისწინებული.

საფრთხეებიდან ასევე აღსანიშნავია გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გაუთვითცნობიერებლობა ინდუსტრიული მემკვიდრეობის ფასეულობის და მნიშვნელობის საკითხებში, რაც ხელს უშლის ინდუსტრიულ მემკვიდრეობის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის აღიარებას და დაცვას და, რის გამოც, პერმანენტულად ხორციელდება ამგვარი ნაგებობების ქაოტორი პრივატიზაციის, ნგრევისა თუ რეკონსტრუქციის პროცესი.

7.4. ტექნიკური მდგომარეობა

მტს კომპლექსის ფიზიკური მდგომარეობა მძიმეა, თუმცა შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს სრულმასშტაბიანი რეაბილიტაციის პროექტი.

შენობა 1
მანქანების მცირე სარემონტო ნაგებობა (1) სავარაუდოდ უადრესია მტს-ის კომპლექსში. ნაგებობა წაგრძელებული მართკუთხა გეგმარებისაა. მზიდი კედლები ქვითა და საბჭოთა პერიოდის აგურის მონაცვლეობითაა აგებული. ფასადის უმეტესი ნაწილი მთლიანად გახსნილია ეზოს მხარეს დიდი მართკუთხა ფორმის ღიობებით. შენობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი ოდნავ ამაღლებულია და გამოიყოფა ფასადის ღიობების განსხვავებული დანაწევრებით. ვიზუალური დათვალიერებით შენობა კონსტრუქციულად მყარია. შენობა გადახურულია ასბესტის ფურცლებით. სახურავი სავალალო მდგომარეობაშია, ჩამოდის წყალი. დღევანდელი საამშენებლო სტანდარტებიდან გამომდინარე, გამოსაცვლელია

ასბესტი - სახურავის ხელახლა მოწყობაა აუცილებელი. ხის კოჭების ნაწილი ექვემდებარება მეორად გამოყენებას.

ფასადზე ნალესი საჭიროებს განახლებას. შენობის ჩრდილოეთ კედელი დუშური (ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების) არქიტექტურის შესაბამისად შეულესავადაა დატოვებული, სადაც კარგად ჩანს კედლის საამშენებლო მასალის (რიყის ქვა, აგური) წყობა. კედელი შენარჩუნებულ უნდა იქნეს შეულესავად, საჭიროა გამორეცხილი დუღაბის შევსება.

ინტერიერში მოსაწყობია იატაკი შესაბამისი თბო და ჰიდრო იზოლაციის ფენებით.

შენობა N2
ძირითადი ნაგებობა (2) სავარაუდოდ აშენებულია მოგვიანებით და წარმოადგენს მართკუთხა გეგმარების დიდ ანგარს. მზიდი კონსტრუქცია მონოლითური რკინაბეტონის კარკასს წარმოადგანს, რომელიც გადახურულია არმირებული ბეტონის ფილებით. კედლები შევსებულია ქვითა და საბჭოთა პერიოდის აგურის მონაცვლეობით, თუმცა მონაცვლეობის სისტემა ზუსტად დაცული არ არის.

გეგმარება სამ ძირითად ნაწილად იყოფა: განაპირა ნაწილებში, რომელთა გადახურვაც შუა ნაწილთან შედარებით საგრძნობლად დაბალია, განთავსებული იყო გარაჟი და სარემონტო სახელოსნოები, სივრცე დატიხრულია აგურის კედლებით. შენობის ცენტრალური ნაწილი, რომელიც ერთ დიდ სივრცედაა წარმოდგენილი, ორივე მხრიდან გახსნილია დიდი ზომის რკინის ჭიშკრიანი ღიობებით. დასავლეთი ნაწილის ფასადი თითქმის მთლიანად შემინულია, და შემავსებლად უპირატესად გამოყენებულია აგური. ეს ფასადი ყველაზე მეტადაა დაზიანებული, ჩამონგრეულია კედლები და დაზიანებულია საყრდენი კონსტრუქცია. შენობის სახურავზე ამოსულია ხე-მცენარეები, რაც კიდევ უფრო აზიანებს ისედაც დაზიანებულ გადახურვას.

ვიზუალური დათვალიერებით, მიუხედავად დაზიანებებისა, მზიდი კარკასი მდგრადია და, შესაბამისი სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, იძლევა შენობის შემდგომი ექსპლუატაციის საშუალებას. საბოლოო სარეაბილიტაციო გადაწყვეტებამდე საჭიროა მასალის სიმტკიცეზე შემოწმება.

შენობის სახურავი არმირებული ბეტონის ფილებითაა მოწყობილი. გადახურვა ნაწილობრივ დაზიანებული და ნაკლულია თუმცა, სიმტკიცეზე შესაბამისი შემოწმების და სათანადო სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ, ექვემდებარება შემდგომ ექსპლოატაციას, განახლებას საჭიროებს ჰიდროიზოლაციის ფენა სახურავზე.

შენობის კედლები აგურითა და რიყის ქვითაა ნაგები, რაც ტიპიური მასალაა დუშეთის ტრადიციული ქალაქური არქიტექტურისთვის. კედლები ნაწილობრივ საჭროებს შევსებას, ნაწილობრივ გადაწყობას. შელესილობა ალაგ-ალაგაა შემორჩენილი და საჭიროა მისი განახლება. გამოსაცვლელი და სარეაბილიტაციოა შენობის კარ-ფანჯარა. ახალი ფუნქციის შესაბამისად უნდა მოეწყოს იატაკი.

დამხმარე ნაგებობა (3) მცირე ზომის გეგმით მართკუთხა ნაგებობაა. პირველი სართული ქვითაა ამოყვანილი, მეორე - ფიცრულია. შენობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროებს კაპიტალურ რემონტს.

ეზო
ეზო საჭიროებს კეთილმოწყობას. ლანდშაფტის და კეთილმოწყობიე ელემენტების დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს კომპლექსის ინდუსტრიულ ხასიათს. სასურველია თუ ბილიკები მოეწყობა ხრეშით ბეტონის გარეშე. ეზოს სივრცის დაგეგმარებისას გათალისწინებულ უნდა იქნეს ღია ცის ქვეშ ხალხმრავალი კულტურული ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობები. ღობე საჭიროებს განახლებას, ასევე შესასვლელი ალაყაფის კარიც. ეზოს დიზაინისას გადასაწყვეტია ჭილაშვილების ისტორიული სასახლესთან ფუნქციური კავშირების სივრცითი ორგანიზების საკითხი.

7.5. მოთხოვნილი შეკეთების შეჯამება

იხილე თავი 7.4

7.6. კონსერვაცია/რეაბილიტაციის პოლიტიკა და შეთავაზება

7.6.1. ტერიტორიის განვითარების ხედვა

მტს-ში განთავსდება მულტიფუნქციური კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი:

- მულტიფუნქციური დარბაზი გამოფენებისთვის, კონცერტებისთვის, პრეზენტაციებისა და კონფერენციებისთვის.
- სახელოსნოები მხატვრებისთვის და მოქანდაკეებისთვის, ასევე სარეპეტიციო სივრცეები მუსიკოსებისთვის.
- რეზიდენცია არტისტებისთვის, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სასტუმრო.
- ღია ცის ქვეშ ღონისძიებებისთვის ადაპტირებული ეზო (კინო ჩვენებები, კონცერტები, კორპორატიული ღონისძიებები და საზეიმო მიღებები და სხვა).

შენობა დარჩება საზოგადოებრივ საკუთრებაში, შეიქმნება მუნიციპალური ფონდი, რომელსაც საკუთრებაში გადაეცემა კომპლექსი ქალაქის სხვა კულტურულ ობიექტებთან ერთად. ობიექტის მენეჯმენტი შეირჩევა შესაბამისი მოთხოვნების საფუძველზე. მენეჯმენტი ანგარიშვალდებული იქნება, როგორც თვითმმართველობის წინაშე, ასევე ფონდის მენეჯმენტის წინაშე.

მტს-ის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრმა უნდა უზრუნველყოს, როგორც ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილება კულტურის სფეროში, ასევე დუშეთის ხილვადობა ეროვნულ დონეზე კულტურის პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტით. უნდა იქცეს ეკონომიკურ ფაქტორად ქალაქისთვის.

7.6.2. კონსერვაციის ფილოსოფია

კომპლექსის რებილიტაცია კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციით თვისობრივად ახალ მოთხოვნებს აყენებს შენობის წინაშე, როგორიც ტექნიკური თვალსაზრისით (თბოიზოლაცია, აკუსტიკა და ა.შ.), ასევე ხარისხობრივად (იატაკზე ხით მოპირკეთება, მაღალი ხარისხის მულტიფუნქციური განათების დამონტაჟება, მასალებისა და ტექნიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა).

რადგანაც კომპლექსი უშუალოდ ემიჯნება ჭილაშვილების ისტორიულ სასახლეს, ქართული კანონმდებლობიდან გამომდინარე, ჩარევები ექვემდებარება ჭილაშვილების სასახლის დამცავი არეალის რეგულაციებს. პროექტირებისას ამ ორი სხვადასხვა ეპოქისა და ფუნქციის, სტილისტურად განსხვავებული ნაგებობების განხილვა, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა ერთ საერთო არქიტექტურულ ანსამბლად (ისტორიულ-კულტურული ღირებულებება) აუცილებელია. აქედან გამომდინარე მტს-ის რეაბილიტაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ძეგლთა დაცვის უნივერსალური პრინციპები. არსებული კონტრასტი ამ ორ ნაგებობას შორის შენარჩუნებულ უნდა იქნეს.

7.6.3. ინტერვენციის დონე

კომპლექსისათვის ახალი ფუნქციის მინიჭება მოითხოვს ინტერვენციის მაღალ დონეს: რიგ შემთხვევებში კონსტრუქციული ნაწილების გამაგრება-შეცვლას, ინტერიერების სრულ ადაპტაციას ახალ ფუნქციაზე. ამასთან დაცულ უნდა იქნეს კომპლექსის გარე იერსახე და ინდუსტრიული ხასიათი.

7.6.4. შესაძლო გამოყენების წინასწარი შეთავაზებები

მისი მასშტაბიდან და მოცულობიდან გამომდინარე, მტს-ის შეუძლია იტვირთოს დუშეთის კულტურული ფლაგმანის ფუნქცია ქალაქის კულტურული, სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის. ინდუსტრიული ნაგებობების ახალი ფუნქციებით დატვირთვა მსოფლიოში (მათ შორის საქართველოში კინოსტუდია ქართული ფილმის ყოფილი პავილიონში განთავსდა „თუმანიშვილის თეატრი“, ყოფილ სამკერვალო ფაბრიკაში განთავსდა მულტიფუნქციური კულტურულ-საზოგადოებრივი ცენტრი „ფაბრიკა“) აპრობირებული პრაქტიკაა. მტს-ისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ფუნქციის მინიჭება ერთის მხრივ შეავსებს დუშეთის კულტურული ინფრასტრუქტურის ნაკლოვანებებსა და საჭიროებებს და ამავე დროს შეიძენს საქართველოს მასშტაბით მნიშვნელოვან კულტურულ ფუნქციას, რაც ამ ობიექტს და მასთან ერთად ქალაქ დუშეთს ეროვნულ დონეზე ხილვადს გახდის.

კომპლექსში განთავსდება მულტიფუნქციური დარბაზი გამოფენების, კონცერტებისთვის, პრეზენტაციებისა და კონფერენციებისთვის; სახელოსნოები მხატვრებისა და მოქანდაკეებისთვის, სარეპეტიციო სივრცეები მუსიკოსებისთვის; რეზიდენცია არტისტებისთვის, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც კონფერენციების მომსახურე სასტუმრო; ღია ცის ქვეშ ღონისძიებებისთვის ადაპტირებული ეზო (კინო ჩვენებები, კონცერტები, კორპორატიული ღონისძიებები და

საზეიმო მიღებები და სხვა), რაც უზრუნველყოფს ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის ფუნქციონირებას სადაც მოეწყობა:

- სახელოვნებო საგანმანათლებლო ცენტრი ადგილობრივი მოსახლეობისთვის;
- არტ-რეზიდენცია ქართველი და უცხოელი (როგორც რეგიონიდან, ასევე დანარჩენი მსოფლიოდან) არტისტებისთვის;
- საგანმანათლებლო კურსები და მასტერ-კლასები ხელოვნებისა და ხელოსნობის სფეროში (არსებობს წინასწარული თანხმობა გერმანული ორგანიზაცია „Kunstlertribune" მხრიდან დუშეთში საზაფხულო აკადემიის მოწყობის მიზნით ქართველი და კავკასიის რეგიონის კონსერვატორიის სტუდენტებისთვის);
- ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბის ფესტივალები;
- გამოფენები, პრეზენტაციები და სხვა ღონისძიებები;
- ბიბლიოთეკა და მედიათეკა;

აღნიშნული ფუნქციები სრულ შესაბამისობაშია ჭილაშვილების ისტროიული სასახლის მომავალ ფუნქციასთან (არქეოლოგიური მუზეუმი). მტს-ისა და ჭილაშვილების სასახლის მუზეუმის ერთმანეთის მეზობლად ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ორივე ორგანიზაციისთვის პუბლიკის მოზიდვას, რაც დადებითად აისახება დუშეთის ეკონომიკაზე, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და ქალაქის იმიჯის ფორმირებაზე.

7.6.5. სოციალური გამოყენების და მდგრადი განვითარების შესაძლებლობები.

მტს-ის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი დაეხმარება დუშეთში შეიქმნას სტაბილური სამუშაო ადგილები მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისათვის კულტურის სფეროში, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული პირების შემდგომ დამაგრებას ქალაქში. ცენტრის ფუნქციონირება მნიშვნელოვნად გაზრდის ვიზიტორების რაოდენობას, რაც დადებითად აისახება ქალაქის ეკონომიკაზე. კულტურულ-საგანმანათლებლო შეთავაზებები ადგილობრივი მოსახლეობისთვის უზურნველყოფს საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დამაგრებას ქალაქში. მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა (გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები, კინო ჩვენებები და ა.შ.) მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს დუშეთის როგორც ტურისტული და კულტურული ქალაქის იმიჯს ეროვნულ დონეზე, ხელს შეუწყობს ქალაქის კონკურენტურნარიანობის ზრდას სხვა ქალაქებთან მიმართებაში, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე.

7.6.6. კონსოლიდაციის, შეკეთების, კონსერვაციის, აღდგენის, რეაბილიტაციის ზოგადი შეფასება

ვინაიდან კომპლექმა უნდა შეიძინოს საზოგადოებრივი ფუნქცია, მისი რეკონსტრუქციის პროექტის მომზადებისას გასათვალისწინებელია რამოდენიმე ძირითადი მიმართულება:

- მხატვრულ-არქიტექტურული ფორმის შენარჩუნება, რაც გამოიხატება შენობის თავსებადობაში ჭილაშვილების ისტორიულ სასახლესთან მიმართებაში და არსებული კონტრასტის (ინდუსტრიულ და შუასაუკუნეების არქიტექტურულ სტილს შორის) შენარჩუნებაში.

- შენობის ტექნიკური მონაცემების მიახლოება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის საჭირო სტანდარტებთან, რაც გულისმხმობს პროექტირებისას მასალების სწორ შერჩევას და შემდგომში შენობის უზრუნველყოფას მაღალი ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.
- შენობისა და ეზოს ადაპტირება სოციალურ მოთხოვნებთან, მათ შორის პანდუსების მოწყობა და მხედველობის არმქონე პირების საჭიროებების გათვალისწინება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დუშეთში, კერძოდ მილახვრიანთკარის დასახლებაში უნარშეზღუდულთა პანსიონატის არსებობის გათვალისწინებით.

7.6.7 საჯარო ხელმისაწვდომობა

მტს-ის შენობის მომავალი ფუნქციიდან გამომდინარე, თვითმმართველობის მხრიდან იგი განიხილება, როგორც საჯარო სიკეთე, რომელიც დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და უზრუნველყოფილი იქნება საჯარო ხელმისაწვდომობა:

- კულტურულ და საგანმანათლებლო შეთავაზებებზე ხელმისაწვდომი ფასების დაგეგმვა, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენების თანამარ წვდომას აღნიშნულ სივრცეზე.
- ხელოვანთათვის წვდომის უზრუნველყოფა, რაც იქნება მტს-ის მომავალი მენეჯმენტის წინაშე ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა მუნიციპალიტეტის მხრიდან.
- შენობის საზოგადოებრივი ფუნქციის გარანტირებული შენარჩუნება, რაც გამოიხატება ფონდის დაარსებაში, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში მუნიციპალიტეტის მთავრობის მხრიდან ჩაურევლობას და მტს-ის ქონების მუნიციპალური ქონებიდან გამიჯვნას, შემდგომში მისი წინასწარ განსაზრღვრულ ჩარჩოებში განკარგვის მიზნით.
- ფონდის მმართველობის დემოკრატიული პრინციპის შერჩევა, რაც უზრუნველყოფს მტს-ის ფუნქციონირებისას პოლიტიკურ ჩაურევლობას, თვითგამოხატვის თავისუფლებასა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას.
- უნარშეზღუდული მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

7.6.8. სხვა სარგებელი

მტს-ის რევიტალიზაცია და წარმატებული ფუნქციონირება ადგილობრივ მოსახლეობაში საკუთარ ქალაქთან მიმართებაში მოქალაქეობის შეგრძნების განმტკიცებას, ახალგაზრდების მოტივაციის ზრდას და ეკონომიკური აქტივობების განვითარებას გამოიწვევს.

7.7. დაფინანსება

7.7.1. ბიუჯეტის საჭიროების და ფაზების ფართო შეფასება

ბიუჯეტის განსაზღვრისთვის საჭიროა შემდეგი ძირითადი ფაზების გათვალისწინება. წინასაპროექტო ხარჯები (გეოლოგიური კვლევა, საინჟინრო-ტექნიკური კვლევა, საარქივო-ბიბლიოგრაფიული კვლევა, ა.შ), კონცეპტუალური ნაწილის მომზადება, სადაც მოხდება კომპლექსის სამომავლო ფუნქციის განსაზღვრა და პროექტირებისთვის აუცილებელი

ტექნიკური დავალების მომზადება. პროექტის მომზადებისა და პროექტის რეალიზების ხარჯები.

სამუშაოს დასახელება	**მიახლოებითი ღირებულება ლარებში**
წინასაპროექტო კვლევებისა და პროექტირების ხარჯები შენობის და ტერიტორიისთვის	130 000 ₾
კომპლექსის განვითარების კონცეფციისა და შესაბამისი ინტერიერის პროექტების მომზადება	70 000 ₾
შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები	3 000 000₾
ეზოს კეთილმოწყობა	300 000 ₾
ჯამი	3500 000 ₾

7.7.2. ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობების შეფასება

ჯერ-ჯერობით აღნიშნული პროექტისთვის არ შემუშავებულა ფინანსების მოზიდვის გეგმა.

7.7.3. შემოსავლების მიღების შესაძლებლობის შეფასება

კომპლექსში კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციონირებით შესაძლებელი იქნება შემდეგი შემოსავლების გენერირება: ფესტივალებზე, კონცერტებზე, გამოფენებზე დასწრების ბილეთები, საკონფერენციო სივრცისა და სასტუმროს გაქირავება, საკონფერენციო მომსახურება, არტ რეზიდენცია, სხვა. შემოსავლების მიღების შესაძლებლობები დეტალურად იქნება განხილული ტექნიკურ-ერკონომიკური კვლევის ფარგლებში, ხოლო არაპირდაპირი სარგებელი განხილულია წინამდებარე დოკუმენტის 6 თავში.

7.7.4 ხომ არ გიცდიათ ამ სანახაობისთვის ან მონუმენტისთვის ფინანსების მოძიება?

მიმდინარეობს პოტენციურ დამფინანსებლებთან მოლაპარაკება ეროვნულ დონეზე.

7.7.5 ხომ არ მიგიღიათ ამ მონუმენტზე ან სანახაობაზე დაფინანსება?

არა

7.8. მენეჯმენტი

7.8.1 პროექტის მოკლევადიანი მენეჯმენტი

ემ-ტე-ესის რეაბილიტაციის პროექტის მენეჯმენტი განხორციელდება დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ.

7.8.2 პროექტის გრძელვადიანი მენეჯმენტი

ინსტიტუციური მოწყობა

მტს-ის მართვა განხორციელდება სპეციალურად მისთვის შემუშავებული მართვის დემოკრატიული მოდელის შესაბამისად. შენობის საკუთრებასა და მენეჯმენტზე ფუნქციები იქნება გამიჯნული და თავისუფალი მუნიციპალიტეტის თუ ცენტრალური მთავრობის მხრიდან პოლიტიკური ზეგავლენისგან. შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტი აფუძნებს „დუშეთის მუნიციპალურ ფონდს“.

საკუთრება
დუშეთის მუნიციპალური ფონდი - იქნება ქონების მესაკუთრე სხვა კულტურული თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებთან ერთად. ქონების განკარგვა მოხდება ფონდის წესდების შესაბამისად, რაც მას აუკრძალავს ქონების გასხვისებას. ფონდის წესდების შესაბამისად მისი გაუქმების უფლება ექნება მხოლოდ მუნიციპალიტეტს ცენტრალური ხელისუფლების თანხმობისა და დუშეთის მოსახლეობის მხრიდან თანხმობის საფუძველზე (თანხმობისთის აუცილებელი იქნება ადგილობრივ დონეზე რეფერენდუმის ჩატარება).

ფონდის ფუნქციები და ვალდებულებები
ფონდის ვალდებულება იქნება ასევე ემ-ტე-ესის ბიუჯეტის მოპოვება და ხარჯვითი ნაწილის კონტროლი. მტს-ის ხელმძღვანელის შერჩევის მიზნით საკონკურსო პირობების მომზადება, კონკურსის ჩატარება და არჩეული კანდიდატის წარდგენა დუშეთის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად. ემ-ტე-ესის წლიური ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფა. ემ-ტე-ესის შენობის პერიოდული რემონტი და მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება ემ-ტე-ესის ხელმძღვანელობის მოთხოვნის საფუძველზე.

მტს-ის დაფინანსება
მტს-ის, როგორც დუშეთისთვის უმნიშვნელოვანესი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის ექსპლუატაციის ხარჯები დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან ზოგადეროვნული პროექტების ფარგლებში, სხვადასხვა საერთაშორისო ფონდებიდან.

მართვა
მტს-ის ორგანიზაციულ მართვას განახროციელებს ხელმძღვანელი, რომელიც აირჩევა 5 წლის ვადით კონკურსის საფუძველზე. კონკურსს აცხადებს მტს-ის საბჭო, რომელიც იკრიბება პერიოდულობით, მხოლოდ ხელმძღვანელის შერჩევის მიზნით. წინასწარ გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესაბამისად, რომლის შემუშავებაც მოხდება დუშეთის მუნიციპალური ფონდის მიერ, დუშეთის კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალურ სამსახურებთან კონსულტაციით.

მტს-ის ხელმძღვანელის არჩევა
ხელმძღვანელის არჩევისას ხმის უფლებით ისარგებლებს დუშეთის მუნიციპალური ფონდი, დუშეთის მუნიციპალიტეტი, დუშეთის მოსახლეობის წარმომადგენლები, ასევე მსხვილი ფინანსური დონორები. ხმათა გადანაწილება მოხდება შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით: ხმათა რაოდენობა გაიყოფა ორ თანაბარ ნაწილად დუშეთის მოსახლეობასა და დანარჩენ ორგანიზაციებს შორის. მსხვილი დონორის შემთხვევაში ხმის უფლებას დონორის სასარგებლოდ დათმობენ ორგანიზაციები. ხმათა უფლების პროპორცია

დაითვლება ბიუჯეტიდან გამომდინარე და უკუპროპორციული იქნება დაფინანსების ხვედრითი წილის.
მოსახლეობის წარმომადგენლების შერჩევა მოხდება საჯაროდ, უბნების მიხედვით და ქალაქში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით. კანდიდატთა ნუსხა წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად.
კენჭისყრა შედგება გამჭვირვალედ (თეატრის შენობაში, რომელზედაც დასწრების უფლება ექნება ნებისმიერ მსურველს), ხოლო პეტენდენტების პროგრამები იქნება გამოქვეყნებული კენჭისყრის შემდგომ დუშეთის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.
არჩეული ხელმძღვანელი საშტატო განრიგს წარუდგენს დუშეთის მუნიციპალურ ფონდს დასამტკიცებლად.

ფუნქციონირების საჯაროობა
მტს-ი წლის ბოლოს დუშეთის მუნიციპალურ ფონდს აწვდის წლიურ ანგარიშს (ფინანსური ანგარიში, განხორციელებული პროექტების აღწერა, პუბლიკის ანალიზი, პრესის ანალიზი), რომელსაც ფონდი ინტეგრირებას უკეთებს თავის საკუთარ წლიურ ანგარიშში და წინასწარ განსაზღვრულ ვადებში აქვეყნებს მას (ბეჭდა ან საიტზე განთავსება).
შეადგენს ხელმძღვანელი.

მტს-ი ფუნქციონირება მოხდება სიტყვის თავისუფლების, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების შესაბამისად, დუშეთის ქალაქის ეკონომიკური და სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურის პოლიტიკასა და ქართულ კანონმდებლობასთან თანხვედრაში ემ-ტე-ესის მენეჯმენტის ჯგუფის შეხედულებებისამებრ.

8. დოკუმენტაცია

1. პირველადი ანაზომები (ფასადები, ჭრილები, გეგმები დაზიანებების მითითებით), 2016, ლ. ქეთელაური, გ. სინჟარაძე
2. ფოტოდოკუმენტაცია 2016, ლ. ქეთელაური, გ. სინჯარაძე

დანართი 2: მთავარი შენობის სქემატური ანაზომი



1. ძირითადი შენობია (#2) გეგმა, სქემატური ანაზომი. ლ. ქეთელაური, გ. სინჯარაძე, 2016



2. ძირითადი შენობის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადი (დ-ა, ა-დ), სქემატური ანაზომი. ლ. ქეთელაური, გ. სინჯარაძე, 2016



3 ძირითადი შენობის (#2) სამხრ. და ჩრდ. ფასადები (8-1, 1-8) სქემატური ანაზომი. ლ. ქეთელაური, გ. სინჯარაძე, 2016





ძირითადი შენობის (#2) ჭრილი 1-, სქემატური ანაზომი. ლ. ქეთელაური, გ. სინჯარაძე, 2016

დანართი 3: არსებული მდგომარეობა